აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№43 (25.067) ხუთშაბათი, 27 - 28 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამით, მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდა. „ბრიუსელში ჩემი ვიზიტის ფარგლებში, შესანიშნავი შეხვედრა მქონდა იენს სტოლტენბერგთან. საქართველო და ნატო საიმედო პარტნიორები არიან. განვიხილეთ ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის დღის წესრიგი, რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები და მომავალი პარტნიორობის საკითხები“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

საქართველოს მომავალი ევროკავშირშია. ევროპულ გზაზე წინსვლისთვის, ახლა, როგორც არასდროს, საკვანძო პრიორიტეტების განხორციელება აუცილებელია, - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა. როგორც მან აღნიშნა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას სასამართლო სისტემის, კანონის უზენაესობისა და პრესის თავისუფლების მიმართულებით რეფორმების გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრა.

* * *

ხელისუფლება ევრორეკომენდაციებს ზედმიწევნით შეასრულებს და ევროკავშირს სრული საფუძველი ექნება საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს, - განაცხადა მმართველი გუნდის დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ. მისი თქმით, IRI-ის კვლევის შედეგი არის ევროკავშირისთვის გზავნილი, რომ საქართველოს მოსახლეობას კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით მაღალი მოლოდინები აქვს. IRI-ის კვლევით, გამოკითხულთა 89% საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეა.

* * *

ვიზიტები, რომელიც მიმდინარე კვირას განხორციელდა ევროპულ დედაქალაქებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან და ამ ვიზიტების შედეგები შეგვიძლია აღვწეროთ მხოლოდ ერთი სიტყვით - სრული პოლიტიკური კრახი, - განაცხადა „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა. „ვერცერთი შეხვედრის შემდეგ ვერ მოვისმინეთ ვერცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადება, რომელიც ამ ქვეყანას სჭირდება“, - დასძინა მან.

* * *

„ქართულ ოცნებაში“ არ დარჩა არაფერი პოზიტიური, ის უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან, - განაცხადა „მოქალაქეების“ ლიდერმა ალექსანდრე ელისაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნების“ გაშვება იქნება, როგორც სააკაშვილის გაშვება იყო, ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ, მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლა იქნება 5 ნაბიჯი უკან.

მოამზადა
ია შველიძემ

თორნიკე რიჟვაძე გერმანიის ელჩს საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გერმანიის ელჩს საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერს შეხვდა. შეხვედრაზე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს

თორნიკე რიჟვაძემ გერმანიის ელჩს აჭარის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალი გააცნო. აღინიშნა, რომ მაქსიმუმი კეთდება აჭარის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო პლატფორმებზე, მათ შორის გერმანიაში აჭარის პოზიციონირებისთვის. ასევე აღინიშნა საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის სტატუსი და მნიშვნელობა ბერლინის უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაზე.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას და თორმეტპუნქტიანი გეგმის შესრულების დადებით დინამიკას.

გერმანია საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. KFW-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე წყლის სისტემის და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე თანამშრომლობა გაღრმავდა ბათუმის საზღვაო აკადემიასა და გერმანიის ფლენსბურგის უნივერსიტეტს შორის და ხორციელდება გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის.

აჭარის მთავრობის
პრესსამსახური

ფონდის უმთავრესი მიზანი სოციალურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობაა

25 აპრილს უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე უძღვებოდა, ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდის“ ხელმძღვანელ სულიკო თებიძის ინფორმაცია მოისმინეს გაწეული საქმიანობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ფონდის უმთავრესი მიზანი სოციალურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობაა, საქართველოს სახელმწიფო, უცხო ენების, კომპიუტერული სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებს მოიცავს და შესაბამისი პროგრამებით ასეულობით ადამიანმა ისარგებლა.

ფონდის დირექტორმა ასევე ისაუბრა განხორციელებულ აქტივობებსა და იმ სიახლეებზე, რომელთა დანერგვაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიში კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
მასმედიასა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის დეპარტამენტი

რატომ დატოვა თანამდებობა ერთ-ერთმა წარმატებულმა საჯარო მოხელემ?

2

დასავლეთის ვერდიქტი, ჩინეთის რეალური მიზანი და ომის დასრულების სამი ვერსია

3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობა და სამომავლო პერსპექტივები

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, 26 აპრილს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეებთან და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები თემაზე „ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობა და სამომავლო პერსპექტივები“.

საინფორმაციო შეხვედრებს წარუძღვნენ „ნატოსა და ევროკავშირის“ შესახებ საინფორმაცო ცენტრის წარმომადგენელი აჭარის რეგიონში ირმა გაბინაშვილი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი დავით ბუჯიაშვილი.

მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო შეხვედრების მიზანია დასავლური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება რეგიონებში და ასევე, მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ინტეგრაციულ პროცესებში. აღსანიშნავია, რომ „ნატოსა და ევროკავშირის“ შესახებ საინფორმაციო ცენტრი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდისა და გაცნობიერებული მხარდაჭერის განმტკიცების მიზნით რეგულარულად ატარებს სხადასხვა სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაზე მორგებულ საინფორმაციო კამპანიებს, საჯარო ღონისძიებებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს, ღია დისკუსიებსა და შემეცნებით აქტივობებს.

ასევე, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება საჯარო მოხელეებთან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში და საგანმანათლებლო სფეროს ხელმძღვანელებთან ქობულეთის რესურსცენტრში.

შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზოგადოების ინფორმირებულობისა და მედეგობის გაზრდის“ ფარგლებში იმართება, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

ჩვენს კითხვებს საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებით უპასუხა საინფორმაციო ცენტრ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ აჭარის რეგიონულმა წარმომადგენელმა ირმა გაბინაშვილმა.

- რა მიზანს ემსახურება ეს საინფორმაციო შეხვედრები?

- ჩვენ შევხვდით შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებს, თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ამ ორ შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ ძირითად თემებს, როლებზეც ჩვენ მიერ მოწვეულმა სპიკერმა დავით ბუჯიაშვილმა საქართველო-ევროკავშირს შორის არსებულ ურთიერთობებზე, დინამიკაზე და მომავალ პერსპექტივებზე ისაუბრა, უპასუხა საინტერესო შეკითხვებს. რა თქმა უნდა, მოისმინა მოსაზრებები მოსახლეობისგან. ამ შეხვედრების მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა და დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის გზავნილებისადმი მათი მედეგობის ამაღლება.

მოგეხსენებათ, ციფრულ პერიოდს ახლავს სხვადასხვა გამოწვევა, მათ შორის დეზინფორმაცია და ცრუ ნარატივები. ასეთ შეხვედრებზე გაჟღერებული ყველა ინფორმაცია, რომელიც ოფიციალური უწყებებიდან ზიარდება სიმართლეს ემსახურება და ვცდილობთ, სხვა სამიზნე ჯგუფებსაც მივაწვდინოთ. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს იმას, რომ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობა და განსაკუთრებით საჯარო მოხელეები იყვნენ უფრო ინფორმირებულები და ჰქონდეთ მეტი წვდომა გადამოწმებულ და ობიექტურ ინფორმაციასთან.

სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში 520 სტუდენტი დაფინანსდება

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში აფინანსებს აჭარაში მცხოვრებ იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სამინისტრო 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საფასურს 520 სტუდენტს დაუფინანსებს. მათ შორის:

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დაფინანსებულ 411 სტუდენტს, რომლებსაც (2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გადალახეს პროგრამით გათვალისწინებული ბარიერი: საშუალო აკადემიური მოსწრება - 71% და მეტი და არ ჰქონდათ საგნის თავიდან გავლა - შეფასება) გაუგრძელდათ დაფინანსება 2023 წელს პირველ ეტაპზე გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეულ 109 სტუდენტს.

სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღება შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებიც არიან მაღალმთიანი აჭარიდან; ობოლი დედით, მამით, ან უდედმამო; მრავალშვილიანი ოჯახიდან; სტუდენტებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სხვა.

რატომ დატოვა თანამდებობა ერთ-ერთმა წარმატებულმა საჯარო მოხელემ?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, თამარ იოსელიანი ტოვებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის საგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობას“

- აღნიშნული ინფორმაცია მედიის წარმომადგენლებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ მოგვაწოდა. მათივე ინფორმაციით, 1-ელი მაისიდან სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობას შეასრულებს დირექტორის პირველი მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის პოზიციაზე.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებით, თამარ იოსელიანი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში გააგრძელებს მუშაობას. თანამდებობიდან წასვლის კონკრეტულ მიზეზებთან დაკავშირებით თამარ იოსელიანს კომენტარი აქამდე არ გაუკეთებია.

აღნიშნულ პოზიციაზე განცხადებების ბოლო ვადა 4 მაისია.

სემინარმა მიზანი გაამართლა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

კიდევ რამდენიმე დღე და საჯარო და კერძო სკოლების მეთორმეტე -კლასელები სკოლას გამოემშვიდობებიან. ახალგაზრდების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს გაკეთებული პროფესიული არჩევანი.

ქედის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ორგანიზებით საჯარო სკოლების მოსწავლეებს სემინარი ჩაუტარდათ თემაზე „პროფესიის არჩევა“, რომელზეც დეტალურად განიხილეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიის სწორად არჩევა. ორგანიზატორებმა და მონაწილე აპლიკანტებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული თვითგამორკვევის პროცესი საკმაოდ რთულია, მასზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი.

სემინარმა მიზანი გაამართლა, რამდენიმე ახალგაზრდამ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

სემინარს „საოსას“ ხელმძღვანელი ლია ფუტკარაძე უძღვებოდა.

დასავლეთის ვერდიქტი, ჩინეთის რეალური მიზანი და ომის დასრულების სამი ვერსია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთი თანმიმდევრულად რომ ცდილობს რუსეთის ჰეგემონიის შეკვეცას სხვადასხვა რეგიონში, არახალი ამბავია. თუ ყირიმის ანექსიამდე რუსულ პროპაგანდას ვინმე სარწმუნოდ მიიჩნევდა, ახლა თითქმის ყველა წამყვანი დასავლური სახელმწიფო თანხმდება, რომ რუსეთი საფრთხეს უქმნის ცივილიზებულ მსოფლიოს. ამიტომაც არა მხოლოდ დაუწესდა სანქციები, არამედ ჰააგის სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერიც გასცა, რაც მანამდე ზესახელმწიფოს ლიდერის მიმართ არ მომხდარა

„პუტინის დასაკავებლად ორდერი რუსეთის პასუხისგებაში მიცემის პროცესის მხოლოდ დასაწყისია“, - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა, აშშ-ის პრეზიდენტმა კი ამ ფაქტის შესახებ განაცხადა: „ვფიქრობ, გამართლებულია, ეს ძალიან ძლიერი პოზიციაა“. დიახ, ჰააგის სასამართლოს ვერდიქტი უპრეცედენტოა. გყავდეს პრეზიდენტი, რომელიც საერთაშორისო დამნაშავე და ძებნილია, ნებისმიერი ქვეყნისთვის უდიდესი დარტყმაა. არადა, რუსეთი ზემოაღნიშნულ ვერდიქტს ჯერ კიდევ ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების პერიოდში იმსახურებდა. როგორც ცნობილია, მაშინ დაახლოებით 40 ათასი ბავშვი, ასი ათასი ადამიანი დაიღუპა პუტინის რუსეთის აგრესიის შედეგად, აღარაფერს ვამბობ ათიათასობით დაჭრილზე. გროზნო, პრაქტიკულად, განადგურდა. მერე იყო ბესლანი, ნორდოსტი, აგრესია საქართველოს მიმართ, ეთნოწმენდა ცხინვალის რეგიონში და ახლა - უკრაინაში ჩადენილი საკაცობრიო დანაშაული, რაზეც დასავლეთმა თვალი აღარ დახუჭა...

სამწუხაროდ, ადრე დასავლეთი რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკით“ იყო დაკავებული, კრემლმა კი გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადის“ მეშვეობით აურაცხელი კაპიტალი დააგროვა და ევროპა რუსულ გაზს მიაჯაჭვა. კიდევ კარგი, ამჯერად დასავლეთი გამოფხიზლდა და რუსულ გაზსა და ნავთობზე, პრაქტიკულად, უარი თქვა, რითაც მნიშვნელოვანად დააზარალა აგრესორი ქვეყანა.

ახლა ხშირად ისმის კითხვა: დააკავებენ თუ არა პუტინს, ანუ როგორ აღსრულდება განაჩენი? ვფიქრობ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ქვეყანას ჰყავს ჰააგის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დამნაშავედ ცნობილი პირი, რაც მთელი ქვეყნის დისკრედიტაციაა.

უდავოა, რომ პუტინს ზესახელმწიფოთა ლიდერები არ შეხვდებიან, რაც დისკომფორტი იქნება რუსეთის ელიტისთვის. შეიძლება ზოგ დასავლელ ლიდერს ძალიანაც უნდოდეს ამგვარი შეხვედრა, მაგრამ დასავლური საზოგადოება არ პატიობს თავის თავკაცს დამნაშავე ლიდერთან შეხვედრას. არავის სურს ამომრჩევლის ნდობის დაკარგვა. გაისად ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, საფრანგეთის პრეზიდენტის რეიტინგი არასახარბიელოა, სხვა ქვეყნებშიც საარჩევნო მარათონი სტარტს აიღებს, ასე რომ, ყველა უფრთხილდება თავის რეიტინგს. აქ ჩნდება კითხვა: ჩინეთის ლიდერი ამას წინათ რატომ შეხვდა პუტინს. როგორც ამბობენ, პეკინი ცდილობდა, პუტინი დაეთანხმებინა ომის შეწყვეტაზე, მაგრამ კრემლის მმართველი კვლავ ილუზიაში იმყოფება და ჰგონია, რომ უკრაინას დაამარცხებს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ჩინეთს რუსეთის დასავლეთის ხელით დამარცხება არ სურს, თუმცა კმაყოფილია, რომ დასავლეთის ფოკუსი აღმოსავლეთ აზიიდან მოშორებულია და ევროპისკენაა მიმართული, ეს პეკინს საგარეო პოლიტიკის უფრო თამამად განხორციელების საშუალებას აძლევს სხვადასხვა რეგიონში. გარდა ამისა, ჩინეთის ინტერესია რუსეთის მაქსიმალურად დასუსტება, რაც საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო გაძლიერდეს და რუსეთზე მეტი ზეგავლენა მოახდინოს. ამ მიმართებით ბევრი ამბობს, სანქციის გაცემა ფორმალურია და პუტინს ვერ დააკავებენო. ექსპერტთა თქმით, რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინელების თავგანწირული ბრძოლაც წარმოუდგენელი ჩანდა და რუსეთის რეალური დამარცხება ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ ვხედავთ, უკრაინა როგორ იბრძვის, როგორ დაიმსხვრა მითი რუსეთის უძლეველობაზე. თავის დროზე სლობოდან მილოშევიჩსაც არ ეგონა, რომ ჰააგის სასამართლოში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ასე მოხდა. არ არის გამორიცხული, ერთ დღეს პუტინიც გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს ანდა მისიანებმა მოიშორონ, ჯოჯოხეთი კი გარანტირებული რომ აქვს, ეს უდავოა.

ჯერჯერობით რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი მედვედევი იმუქრება ჰააგის სასამართლოს დაბომბვით. შესაძლოა, ფხიზელი არ იყო. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მედვედევი სასმელს ძალიან მიეძალა. ალბათ ეს მატებს ბირთვული ომის გაჩაღების ენთუზიაზმს. ისიც ცხადია, რომ რუსეთი უკან დახევას ჯერჯერობით არ აპირებს. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ რუსეთი ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს, უბრალოდ, უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებული რეაქტორების დეტონაციას მოახდენს.

ჰააგის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ცხადია, უკრაინის ომს უკავშირდება. დასავლეთი და, მით უმეტეს, რუსეთი ნაკლებად ელოდა უკრაინისგან ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას. უკრაინამ ურთულესი სიტუაციას გაუძლო და, თამამად შეიძლება ითქვას, პოსტსაბჭოთა სივრცე და ევროპა ფაქტობრივი ოკუპაციისგან იხსნა, ექსპერტები უკრაინაში ომის დასრულების სამ ვერსიაზე საუბრობენ.

პირველი ვერსია: დასავლეთი წყვეტს უკრაინის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარება-მხარდაჭერას, უკრაინა მარტო რჩება რუსეთის პირისპირ, უკრაინელები კი გადადიან პარტიზანულ ომზე და იქმნება ავღანეთის მსგავსი სიტუაცია, ანუ პოლიტიკური სტატუს-კვო იქნება ის, რომ დასავლეთი აღიარებს რუსეთის ამბიციას ევრაზიის კონტინენტზე. ასეთი ვერსია ექსპერტებს თითქმის არარეალურად მიაჩნიათ.

მეორე ვერსია: დასავლეთი არ წყვეტს უკრაინის სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას, მაგრამ არ აწვდის სათანადო იარაღს, რათა რუსეთთან სამხედრო წარმატებას ვერ მიაღწიოს, ანუ არ ადღგეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა 1991 წლის საზღვრებში. ამას თავისი ახსნა აქვს. როგორც ჩანს, გერმანიას და საფრანგეთს არ სურთ ახალი, ძლიერი სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის შექმნა უკრაინა-პოლონეთი-ბალტიისპირეთის ქვეყნების სახით, რომელიც დასავლეთ ევროპასა და რუსეთის სივრცეს შორის ჩადგება და, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კორიდორის მნიშვნელოვან ნაწილს გააკონტროლებს. თუ უკრაინას არ მიეწოდება შეიარაღება, მაშინ ვერც უკრაინა და ვერც რუსეთი აღწევს რაიმე წარმატებას და დადგება სამშვიდობო მოლაპარაკების საჭიროება, რაც, რეალურად, გაყინული კონფლიქტით დასრულდება. ამ ვერსიას ანალიტიკოსები არ იზიარებენ, რადგან მაშინ ცივი ომი რამდენიმე წლით გახანგრძლივდება, რაც რუსეთს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს და ეს სამომავლოდ ახალ სამხედრო კონფლიქტს არ გამორიცხავს.

მესამე ვერსია: უკრაინის კონფლიქტი წელს დასრულება, მაგრამ ისე, რომ რუსეთი რაც შეიძლება მეტად გამოიფიტოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად. ამ ომის მიზანია, რუსეთმა ვერ შეძლოს იმპერიული ინტერესების გატარება რამდენიმე წლის განმავლობაში. უდავოა, რომ უკრაინის გამარჯვება დამოკიდებელია დასავლეთის და, ზოგადად, აშშ-ის ღია მხარდაჭერაზე. თუ იქნება მხარდაჭერა, უწყვეტი მომარაგება, მაშინ უკრაინა გაიმარჯვებს, ხოლო თუ რუსეთმა უკრაინაში საწადელს მიაღწია, მთელი მსოფლიო წესრიგი დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში საქართველოს რა მომავალი ელის, ვერავინ იტყვის. ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთმა გასული საუკუნის სავალალო შეცდომები არ დაუშვას და უზრუნველყოს უკრაინის გამარჯვება, რომელიც ჩვენი და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მშვიდობისთვის, უკეთესი მომავლისთვის იბრძვის.

> **„უდავოა, რომ პუტინს ზესახელმწიფოთა ლიდერები არ შეხვდებიან, რაც დისკომფორტი იქნება რუსეთის ელიტისთვის. შეიძლება ზოგ დასავლელ ლიდერს ძალიანაც უნდოდეს ამგვარი შეხვედრა, მაგრამ დასავლური საზოგადოება არ პატიობს თავის თავკაცს დამნაშავე ლიდერთან შეხვედრას. არავის სურს ამომრჩევლის ნდობის დაკარგვა**

აჭარის მთავრობის მხარდაჭერით...

აჭარის 5 მუნიციპალიტეტში ფერმერებისთვის 2200 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობი უსასყიდლოდ დამუშავდება, რომლის ბიუჯეტი 1 284 ათას ლარს შეადგენს.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესა და ქობულეთის მერ ლევან ზოიძესთან ერთად დაბა ოჩხამურში დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო ფართობების უსასყიდლოდ დამუშავების პროგრამა აჭარის მთავრობამ პანდემიის პერიოდში დაიწყო და დღესაც წარმატებით გრძელდება.

აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის ბიუჯეტი 2023 წელს 30 მილიონ ლარამდე გაიზარდა, მიმდინარე წელს სოფლად მეწარმეობის განვითარების და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს განახორციელებს, რომლის ფარგლებშიც 400-მდე ფერმერი დაფინანსდება.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

რუსული აგრესია არის ტოქსიკური ხასიათის, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს, ეს ძალიან კარგად ესმის საქართველოს და ქართველ ხალხს, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე. „მივესალმები საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, თქვენ შეგიძლიათ ნატოს უწყვეტი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის იმედი გქონდეთ. იმედი მაქვს, საქართველო შიდა რეფორმებზე ძალისხმევას გააორმაგებს და დემოკრატიულ სტანდარტებს დაიცავს“, - აღნიშნა ალიანსის თავკაცმა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ბაიდენი აცხადებს, რომ მისი კამპანიის მთავარი მიზნები აბორტის უფლება, დემოკრატიის, ამომრჩეველთა უფლებებისა და ამერიკელებისთვის სოციალური გარანტიების დაცვა იქნება. 80 წლის ჯოზეფ ბაიდენი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტია.

* * *

ჩეხეთის პრეზიდენტ პეტრ პაველის განცხადებით, რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობის დამყარებაში ჩინეთის ნდობა არ შეიძლება. როგორც ის მიიჩნევს, ჩინეთის ინტერესებშია სტატუს-კვოს გახანგრძლივება, რადგან ამან შეიძლება რუსეთს გარკვეული დათმობებისკენ უბიძგოს. „არ ვფიქრობ, რომ ჩინეთს რეალური ინტერესი ჰქონდეს ომის მოკლე დროში გადაწყვეტის. ჩინეთი კონფლიქტიდან გაკვეთილებს ყოველდღიურად იღებს. ისინი ყურადღებით აკვირდებიან, რას აკეთებს რუსეთი, როგორ რეაგირებს დასავლეთი“, - განაცხადა პეტრ პაველმა.

* * *

რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას გარკვეული რთული გადაწყვეტილებების მიღება უწევდა, ერთ-ერთი ასეთი კი იყო „საქართველოსთვის მშვიდობის იძულების სამხედრო ოპერაცია“ 2008 წელს. მისივე თქმით, იყო სხვა გადაწყვეტილებები, მაგალითად, „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, რომელიც ასევე რთული იყო და მოითხოვდა დისკუსიას, დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონვას, მაქსიმალურ ყურადღებას“.

* * *

სუდანში ქვეყნის არმიასა და გასამხედროებულ დაჯგუფებას შორის შეიარაღებული დაპირისპირება გრძელდება და მასშტაბური საფრთხის შემცველი ხდება. ქვეყნის დედაქალაქ ხარტუმში ბიოლოგიური საფრთხის მაღალი რისკია მას შემდეგ, რაც კონფლიქტის ერთ-ერთმა მხარემ იმ ლაბორატორიის შენობა დაიკავა, რომელშიც სახიფათო მასალებია განთავსებული. სუდანში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნიმა საიდ აბიდმა განაცხადა, რომ ტექნიკურმა სპეციალისტებმა ვერ შეაღწიეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ლაბორატორიაში მასალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ შენობას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა, რაც ლაბორატორიაში არსებულ მასალას საფრთხეს უქმნის.

მოამზადა
ია შველიძემ

ნავალთ აქციაზე თუ არა...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე 30 აპრილს იმ ადამიანების აქცია დაანონსდა, რომლებიც თავს წინა ხელისუფლების მსხვერპლად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები დღეს საქართველოში ფრონტის ხაზის გახსნას, ხოლო პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირში ამჟამინდელი ხელისუფლების იმიჯის შელახვას ცდილობენ. «მოვდივარ» - ამ სახელწოდების აქციის მთავარი გზავნილია - «არა ომს - მშვიდობა ჩვენს ქვეყანას». ვფიქრობ, ეს ის საკითხია, რაზეც ყველას უფიქრია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იმ მიტინგების მონაწილე ვიყავი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად, ქვეყნის დედაქალაქში ტარდებოდა. კარგად მახსოვს სექტემბრის ის საღამო, როცა აჭარის მთიანეთიდან 150-მდე მხარდამჭერი დედაქალაქში ჩავედით და პირველი, ვინც ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა, ხულოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი სულიკო თავართქილაძე იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ისე დაატოვებინეს თანამდებობაც, ქვეყანაც, რომ ხალხის აზრი არ გაითვალიწინეს, ბოლოს კი სიცოცხლეც მოუსწრაფეს. ბევრისთვის არც ქვეყნის მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აღმოჩნდა სასურველი მმართველი და იგი «ვარდების რევოლუციით» გაისტუმრეს.

ეშველა ერს და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს, გაიძახოდნენ «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» მეხოტბენი, მაგრამ რაც მეტი იყო მოლოდინი, მით ნაკლები გამოდგა შედეგი. მმართველობის 9-წლიანი პერიოდი ისეთი რეპრესიებით დასრულდა, რომ წინა საუკუნის 30-იან წლებს სისასტიკით ლამის გაუტოლდა. ერმა სააკაშვილის რეჟიმსაც, ამჯერად დემოკრატიული პრინციპით, უარი უთხრა და «ქართული ოცნების» ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ დაპირებებით აღსავსე ხელისუფლებით ჩაანაცვლა.

ჟურნალისტი, ისიც 21-ე საუკუნეში, როცა მოვლენები კალეიდოსკოპივით იცვლება, ვერ იქნები მხოლოდ ცალკეული პროცესის აღმწერელი, შენც უნდა გქონდეს საკუთარი ხედვა, ოთარ ცინარიძე 599 85 21 14 პრობლემებისა და პროცესების არსში წვდომის უნარი და საჯაროდ, ერისა და ქვეყნის გასაგონად თუ განსასჯელად, პირადი პოზიცია დააფიქსირო, თანაც იმ დონეზე, რომ მომავალში საზოგადოებამ მკაცრი სასჯელი არ გამოგიტანოს. მოსაწონი და სათაყვანებელი ხელისუფალი არცერთ ქვეყანას არ ჰყოლია. ჩვენდა საუბედუროდ, არც საქართველოს. პირველკაცობისთვის, თანამდებობებისთვის ისევ იბრძვიან ერთეულები. ყველა ბრძოლას თავისი ფორმები და მეთოდები აქვს. ბრძოლის თავისებურ ფორმას ირჩევენ პოლიტიკოსები, გამორჩეულად საქართველოში მცხოვრებნი. ისინი არც ეროვნულობას კითხულობენ, არც განათლებასა და განსწავლულობაზე ზრუნავენ, მათთვის მთავარი მოტივაცია ხელისუფლებაში მოსვლაა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან გზაზე ამაღლებაც ყოფილა და დაცემაც. ქვეყანა 10 მილიონზე მეტ მცხოვრებსაც ითვლიდა და ეს ნიშნული მილიონზე დაბლაც ჩამოსულა. გაუტანლობით, შურით, ქიშპობით მეფეებსაც გამოვუტანეთ განაჩენი და ცნობილ მხედართმთავრებსაც, მწერლებსაც და საზოგადო მოღვაწეებსაც...

21-ე საუკუნეში გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, უფრო სწორად «პოლიტიკანები», რომლებმაც აღარც ერეკლე მეორე დაინდეს და აღარ ვაჟა-ფშაველა... მართლმადიდებელი მრწამსის ერთგულია ქართველი კაცი 21-ე საუკუნეშიც, ქვეყანას ტაძრებსა და მონასტრებში მოლოცვით აღმშენებლობას, უფლის წყალობას უსურვებს. მთელი მართლმადიდებელი სამყარო ინატრებდა ისეთ პატრიარქს, როგორიც ქართველს უფალმა ამ ძნელბედობის წლებში გვარგუნა. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მისამართითაც უკადრებელს კადრულობენ...

ისიც დიდი სირცხვილია, რომ ერთეულები მეორე მსოფლიო ომს შეწირულ 300000-ზე მეტი ქართველის თავგანწირვას ივიწყებენ და 9 მაისის სადღესასწაულო კალენდრიდან ამოღებას ცდილობენ. სწორედ ამ ომის ტრაგიკულ დღეებში გაიცნო საქართველო მთელმა იტალიამ ფორე მოსელიშვილის თავდადებით, რომელიც იტალიის ეროვნული გმირის სახელს ატარებს. თითქმის 80 წლის შემდეგ, იტალიას, განსაკუთრებით ნეაპოლს, პირზე აკერია ქართველი ბიჭის - ხვიჩა კვარაცხელიას სახელი. ისიც არ დაინდეს და უხამსი ეპითეტებით «შეამკეს». ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა ლაშა ტალახაძის სადარ ძალოსანს. ისიც პარტიული ნიშნით დააკნინეს.

ზოგჯერ წაყრუება, შემრიგებლობა და პასუხის გაუცემლობა დანაშაულის ტოლფასია. ახლა საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები 30 აპრილის აქციაზე გვიხმობენ. დროა, რომ ყველამ თავისი პოზიცია დააფიქსიროს, მათ შორის უბრალო, მთიელმა კაცმაც.

ნუნუ ბახტაძე, პენსიონერი: - 73 წელი უკან მოვიტოვე. ქვეყნისა და ერის სამსახურში ვიდექი. პედაგოგი ვიყავი. ორი წლის წინ შევწყვიტე ეს საქმიანობა, სოფელს ისევ ვამაგრებთ. ხელისუფლების ოპონენტებმა ნახონ ცინარეთის კეთილმოწყობილი ცენტრი, გარემონტებული სკოლის შენობა, სოფელში შემოსასვლელი ბეტონისსაფარიანი გზა და ასეთი საქმეების მკეთებლები მერე აძაგონ. არ მინდა ჩემი შვილი, რძალი, შვილიშვილები ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებთან საომარ სიტუაციაში იქნება და ისედაც დაკარგულ ტერიტორიებს კიდევ ახალს მიუმატებს.

ემზარ აბაშიძე, სოფელი ქიძინიძეები: - მალე ნახევარ საუკუნეს უკან მოვიტოვებ. ცხოვრების გზასავალზე ბევრი განსაცდელი შემხვდა. კალატოზად, მეხრედ, შეშის მჭრელად მიმუშავია. ამგვარ შრომას ზურგს არც მომავალში შევაქცევ. სამი შვილის მშობლებს, რომელთაგან უმცროსი ქიძინიძეების საჯარო სკოლის მოსწავლეა, დალხინებული, მშვიდობიანი ცხოვრება, ქვეყნის წინსვლა და წარმატება გვინდა. ყველა ქართველის ოცნებაა ევროკავშირის წევრობა. არკკი ვიცი, რა უნდა ვთქვა იმ პოლიტიკოსების მისამართით, რომლებიც ევროკავშირის ინსტანციებში დაძრწიან იმისთვის, რომ საქართველოს ერთხელ კიდევ გადაუვადონ კანდიდატის სტატუსის მიღება. საჯაროდ ვაცხადებ, რომ აქციაზე იმ ადამიანების გვერდით დავდგები, რომლებიც საქართველოს მომავალზე ფიქრობენ და ვისთვისაც მამული, ენა, სარწმუნოება განუყოფელი ცნებებია.

მერაბ მაკარაძე, პოეტი, სოფელი ოლადაური: - ოლადაურის გადასახედიდან მშობლიურ მიწას, საფიცარ საქართველოს ვადიდებ. არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ექო გამორჩენია ჩემს კალამს. შუახევშუბნის საავტომობილო გზის ოლადაურის მონაკვეთზე ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების მემორიალი გაკეთდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის იდეის ორგანიზატორებისადმი, რომ თაობები არ დაივიწყებენ გმირების სახელებს. შვილებისა და შვილიშვილების მომსწრეს, აღარ მინდა ქვეყანას ბრძოლაში დაღუპული გმირები ჰყავდეს. არადა, ერთეულები ღიად აფიქსირებენ პოზიციას, რომ მომმე უკრაინელ ხალხს სოლიდარობა ფრონტის გახსნით უნდა გამოვუცხადოთ. გმირები ყველა ეპოქაში გვყავდა, მაგრამ 21-ე საუკუნეში უმჯობესია მათ გასახსენებლად ვაკეთოთ მემორიალები და ომი, ნგრევა დიპლომატიით, გამჭრიახობით თავიდან ავიცილოთ.

ჯუმბერ აბაშიძე, სოფელი ვაშლოვანი: - ცნობილი მხატვარი სიმონ ართმელაძე ჩემი თანასოფლელი იყო. თავისი შემოქმედებით მშვიდობას, შრომას, მშობლიურ კუთხეს ადიდებდა. წელიწადის ნებისმიერ დროს აქაურობა ულამაზესია. განა მარტო ის? საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული თითოეული ჩვენგანისთვის საფიცარია. გაფიქრებაც არ მინდა, რომ ამ მიწაზე ისევ საომარი მდგომარეობა იყოს და ქვეყნის ცას ბომბდამშენები სერავდნენ. ვფიქრობ, ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლების პოზიცია ამ მიმართებით მისაბაძია.

მერაბ დავითაძე, სოფელი გორხანაული: - შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოპოზიციური პარტიიდან ვარ არჩეული. საკრებულოს სხდომებზე, ამომრჩევლებთან შეხვედრებზე ჩემს პოზიციას ყოფელთვის ვაფიქსირებ და იმასაც საჯაროდ ვაცხადებ, რომ მმართველი პარტიის ბირთვს მეტი მუშაობა მოეთხოვება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და საერთაშორისო სარბიელზე პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისათვის. ტვინში აზრადაც ვერ გავივლებ, რომ ვინმესთან თუნდაც ახლა და თუნდაც მომავალში საომარ მოქმედებაში ვიყოთ.

ოთარ ხარაძე, პარტია «ხალხის ძალის» წევრი: - პროფესიით ექიმი, თითქმის 40 წელია ქედელთა ჯანმრთელობის დაცვას ვემსახურები. პროფესიული საქმიანობა არც მაშინ შემიწყვეტია, როცა წარმომადგენლობით ორგანოში პირველად ამირჩიეს. მაჟორიტარ დეპუტატს საქმე და საზრუნავი არ მელევა, პაციენტები, ამომრჩევლები ყოველთვის ღიად ყოველგვარი შელამაზების გარეშე მესაუბრებიან. პაციენტები პარტიულობის ნიშნით არასოდეს განმისხვავებია, მსურს, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული დავრჩე. ისინიც კი, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დროს მხარს არ მიჭერდნენ, ახლა ხელისუფალის პოზიციას იწონებენ და 30 აპრილის აქციასაც მხარს უჭერენ. საჯაროდ ამბობენ: სწორი ჯოხის ნახვამდე მრუდეს არ გადავაგდებთო. არადა ახლანდელი ოპოზიციის, განსაკუთრებით «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» დაცალკევებულ ლიდერებს შორის სწორი ჯოხის მქონე არ ჩანს.

«აჭარამ» «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» და «ლელოს» წევრებსაც სთხოვა კომენტარი, მაგრამ თავი შეიკავეს.

> *„ყველა ქართველის ოცნებაა ევროკავშირის წევრობა. არცკი ვიცი, რა უნდა ვთქვა იმ პოლიტიკოსების მისამართით, რომლებიც ევროკავშირის ინსტანციებში დაძრწიან იმისთვის, რომ საქართველოს ერთხელ კიდევ გადაუვადონ კანდიდატის სტატუსის მიღება. საჯაროდ ვაცხადებ, რომ აქციაზე იმ ადამიანების გვერდით დავდგები, რომლებიც საქართველოს მომავალზე ფიქრობენ და ვისთვისაც მამული, ენა, სარწმუნოება განუყოფელი ცნებებია*

„შემოვალ ეტლით“ - ადამიანს თუ სჯერა, მთა დაემორჩილება

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

***შორენა ხუხუა** - მებრძოლი ადამიანი, ლიტერატურათმცოდნე, ქართულის მასწავლებელი, რომელიც წლებია, ეთნიკურ უმცირესობებს ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლის, 2009 წლის 9 თებერვალს მოჰყვა ავტოკატასტროფაში. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი ნაკლებად ჰქონდათ, თუმცა ცხოვრების ამ რთულ გამოწვევას რწმენითა და იმედით შეხვდა, რის შემდეგაც გახდა ავტორი ბესტსელერისა „შემოვალ ეტლით“. წიგნი გამოიცა გერმანულ ენაზე ავსტრიაში და წარდგენილი იყო ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე.*

- უმძიმეს ავტოკატასტროფაში მოჰყევით... რა ძალა აქვს თქვენთვის იმედს და რწმენას?

- უმძიმეს წუთებში იმედი არასდროს დამიკარგავს, სიკვდილზე არც მიფიქრია. მდოგვის მარცვლისხელა რწმენის იგავს ვიხსენებ ხშირად, ადამიანს თუ სჯერა, მთა დაემორჩილება მას.

- რამდენიმე ოპერაციის შემდეგ არჩევანის წინაშე აღმოჩნდით: ან უნდა ყოფილიყავით მუდმივად სახლში, ან ჩამჯდარიყავით ეტლში... რეალობის აღქმა რამდენად რთული იყო თქვენთვის?

- ეტლის გარეშე მოვწყდებოდი საზოგადოებას. ან უნდა ვწოლილიყავი სახლში, ან მევლო ეტლით. რეალობის აღქმა დავიწყე, როცა ბორბლებით გავედი ქუჩაში და ბევრგან ბარიერი დამხვდა, ზოგან - გულის, ზოგან - საფეხურის. ადამიანთა სიბრალული მეტ ტკივილს მაყენებდა, ვიდრე უპანდუსო სივრცეები.

- თქვენთვის იმ მძიმე პერიოდში რა იყო ეტლი?

- გადაადგილების შესაძლებლობა და თავისუფლების გზა.

- რა არის თქვენთვის თავისუფლება?

- საჯარო მოხელე როცა ხარ, ჩემს შემთხვევაში, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, არაა მარტივი შინაგანი თავისუფლების შენარჩუნება და სხვებისთვის სიმამაცის მაგალითის მიცემა. თმენის ვალდებულებას ბევრჯერ შეუკრავს სუნთქვა და წამჭერია ყელში. რიგითი მასწავლებლობა ბევრად ადვილია, რა თქმა უნდა. პასუხისმგებლობის გააზრება, განაწილება და გაზიარება დიდ ენერგიას მოითხოვს.

- რომ არა ავტოკატასტროფა, „შემოვალ ეტლით“ დაიწერებოდა?

- არა, არც ვიცი, ვიქნებოდი თუ არა რაიმე წიგნის ავტორი.

- როგორ იწერებოდა თქვენი წიგნი, როგორ იქცა ბესტსელერად? გზა, რომლითაც მიხვედით საქართველოში მართლაც ყველაზე მასშტაბურ ლიტერატურულ კონკურსამდე: „გახდი ბესტსელერის ავტორი“...

- პალიტრა „L“- ის კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ ფარგლებში შევქმენი ეს რომანი, თავიდან გავხდი ხალხის რჩეული, შემდეგ ავიღე ლიტერატურული პრემია „ლიტერა“, შემდეგ წიგნი გამოიცა გერმანულ ენაზე ავსტრიაში გამომცემლობა „დრავას“ მიერ და ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე მქონდა გერმანულ ენაზე თარგმნილი რომანის პრეზენტაცია.

- ვინ არის მთავარი გმირის პროტოტიპი?

- პარაოლიმპიელი ჩემპიონი - ირმა ხეცურიანი, მისი სპორტული კარიერის დასაწყისი გამოვიყენე წიგნში.

- არის ფაქიზი თემები, რომელზეც არ საუბრობენ, თქვენ კი ამ თემებს შეეხეთ, იმდენად კარგად მოახერხეთ რამდენიმე პრობლემატური თემის გაშლა, მკითხველს სენტიმენტალიზმი კი არ ეძალება, მთავარი გმირის განსაცდელი კი არ თრგუნავს, პიროქით, გულშემატკივრობს ვნებებს ქალისა, რომელიც „შემოდის ეტლით“, თუმცა არა - ზღაპრულით...

იხ. მე-7 გვ.

> *„ეტლის გარეშე მოვწყდებოდი საზოგადოებას. ან უნდა ვწოლილიყავი სახლში, ან მევლო ეტლით. რეალობის აღქმა დავიწყე, როცა ბორბლებით გავედი ქუჩაში და ბევრგან ბარიერი დამხვდა, ზოგან - გულის, ზოგან - საფეხურის. ადამიანთა სიბრალული მეტ ტკივილს მაყენებდა, ვიდრე უპანდუსო სივრცეები*

მთას დაბრუნებული პოეტი ქალი და მისი მზერა მომავლისკენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

„გულიკო გაბაიძე სიყვარულის, სევდისა და მონატრების პოეტია“, - წერს წიგნის „მზემ პირჯვარი დაიწერა“ ანოტაციაში პოეტი ციისანა ანთაძე. ქალბატონი გულიკო ჩვენი სტუმარია.

- „მზემ პირჯვარი დაიწერა“ - რატომ დაარქვით ახალ წიგნს ეს სახელი?

- მზე ხილული მოვლენაა, იგი არ არჩევს მდიდარს და ღარიბს. ყველასა და ყველაფერს ერთნაირად უნაწილებს სხივებს და სითბოს. მზე დედის უღალატო და მოსიყვარულე თვალებია, თბილი გული და ფაქიზი სულია. მზე და დედა ერთნაირად ლოცულობდენ ჩემზე. ერთ დღესაც დავწერე ლექსი, რომლის ბოლო ფრაზა გამოვიყენე კრებულის სახელად:

ყამთაღმწერმა ქვები თალა,
თვემ დღეები გადათვალა,
ვინაც სევდა ვერ დამალა,
მწუხარებას დააბრალა.
იმედი და მკაცრი მზერა,
ასეთია ბედისწერა,
რომ ჩათავდა ეს სიმღერა
მზემ პირჯვარი დაიწერა.

- „ხიხანის ზამთრის ქათქათა და ზაფხულის ამწვანებული მთები“ თქვენი პოეზიის მასაზრდოებელია. ხიხანის ციხეს პირველი ლექსი როდის მიუძღვენით?

- ჩემს ბავშვობაში ხიხანის ციხეზე ასვლა სპეციალური საშვის გარეშე შეუძლებელი იყო. ოცნება მქონდა, ციხის ციტადელიდან მოვფერებოდი საქართველოს. მე-7 კლასის მოსწავლემ ამ პატარა ლექსში გამოვხატე ჩემი სიყვარული და ოცნება:

მინდა გულში ჩავიხუტო,
საქართველოს ცა.
ამ მთებიდან გავიკვლიო
სიბრძნისაკენ გზა.
სამოთხეში უკვდავ სულებს,
მივაწვდინო ხმა.
ქართულ მიწის სურნელება,
ქართულ ქვაზე ვწვა,
ქართველ კაცის სადღეგრძელო
ქართულ ლექსად ვთქვა.

- „ლექსი პოეტის კი არა, უიღბლო ქალის საქმეა“ - ამბობთ ერთ ლექსში. თავს უიღბლოდ რატომ მიიჩნევთ?

- რთული კითხვაა. ვწერდი და მეგონა, ტკივილს ვიშუშებდი. ლექსები გახდნენ ჩემი მეგობრები...

ლექსად ვაქციე ტკივილი,
ოცნების ჯარიც აქვეა,
ლექსი პოეტის კი არა,
უიღბლო ქალის საქმეა.

თუმცა ახლა ასე არ ვფიქრობ. ლექსი ტკივილისა და სიხარულის ამოსათქმელი საშუალებაა, სიყვარულისა და სიცოცხლის ერთგვარი მსახურია. „რწმენასთან ერთად შევიყვარე ჩემივე ცრემლი“.

- რწმენას ცრემლთან რატომ აიგივებთ?

- რწმენა ადამიანებთან ურთიერთობის და ადამიანად ჩამოყალიბების ერთადერთი საშუალებაა. კარგა ხანს ვიყავი გაორებული, ვეძებდი გზას და ვიპოვე წმინდა ნინოს ნაკვალევი.

რწმენის ღმერთი ძალას მაძლევს,
მიუძღვება მზეს შინ,
როცა უფალს დავავიწყდი,
ლექსიც ჭვავდა შეშლილს.
ვცადე, დღეებს მივაგებო,
წმინდა გრძნობა ლექსით,
არ დამიფრთხო ძველისძველი,
ჩემი რწმენის ღმერთი.

- ხიხაძირის საშუალო სკოლა ამ სტატუსით მეორე საგანმანათლებლო კერაა ხულოს რაიონში. მას დაარსებიდან საუკუნე უსრულდება. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან პირველი ქალი პოეტი ხართ. რა ჩანაფიქრი გაქვთ იმისთვის, რომ ეს იუბილე მაღალ დონეზე აღინიშნოს?

- იქ შეძენილი ცოდნით ვწერ ლექსებს. იქიდან ვეფერები სამშობლოს, სამი ლექსი უკვე სიმღერად იქცა, ერთი, უშუალოდ ჩემს სკოლას ეძღვნება. ამღერებული ლექსით მოვეფერები ადგილის დედას, სტუმარს და მასპინძელს. წარსულის უკვდავებაში გადასულ სულებს, რომლებმაც იმ ეპოქაში თქვეს საკუთარი სიტყვა, განფინეს მარადიული ხსოვნა და ჩვენ სულის მალამოდ ვკინძავთ. თუმცა, ამით არ მთავრდება. მაქვს ჯერ კიდევ გაუმხელელი ფიქრი, იუბილეზე რომ წარმოვაჩენ.

- ნოდარ ძირკვაძე და ლევან გელაძე წინა საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ისე წავიდნენ წუთისოფლიდან, სათანადოდ ვერ მოეფერნენ. თქვენ რაღაც იდეები გქონდათ. რას აპირებთ?

- დროა, დიდი ხნის ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანოთ. ეს ორი პიროვნება უნდა დაფასდეს და მათ კვალზე გაიზარდონ თაობები. საზოგადოებისა და ჩემი სურვილია, სკოლებს, სადაც ისინი სწავლობდნენ, მათი სახელი მიენიჭოს, ხულოს ცენტრში მათი სახელობის სკვერი გაიხსნას და ბიუსტი დაიდგას. ჯერ კიდევ გამოუცემელია ნოდარ ძირკვაძის ლექსები და მოთხრობები. მინდა მზის სინათლეზე გამოვიტანოთ. წიგნის გარეკანზე მე ვიმუშავებ, რადგან ვიცნობდი და მისი პიროვნული თვისებები იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამოთქმული ბწკარი, რაც ჩვენ უნდა მივაწოდოთ მომავალ თაობებს. რაც შეეხება ლევან გელაძეს, მან ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაშიც კი დიდი სიყვარული აქცია ჩვენი გონების პროდუქტად. სკოლებში პოეზიის საღამოები მინდა გავმართოთ, სადაც გაეცნობიან, ისწავლიან და შეიყვარებენ შემოქმედთა ცხოვრებას.

- ცხოვრებამ ამ მცირეწლოვანი შვილების გზაზე დაყენება ცალუღლად გარგუნათ. ესეც გახდა საბაბი, რომ მშობლიური ხიხაძირი დროებით მიგეტოვებინათ. სიბრძნის ასაკში ისევ წინაპრებისა და ერთგული თანამეცხედრის საძვალეებს დაუბრუნდით, თანაც მეწარმე ქალისა და პოეტის ამპლუაში.

- შვილების მომავალზე ფიქრმა ქალაქში ჩამომიყვანა. საკმაოდ რთული იყო, მაგრამ საპატიო გზა გავიარე. ახლა უკვე სული მთხოვს ბავშვობაში დაბრუნებას, რაშიც ჩემი ვაჟის სურვილები მეხმარება. ბუნების ტრფიალია, სოფლის ცხოვრებას შეეჩიდა და კარგად გამოსდის. პანდემიამ დააჩქარა ჩვენი სოფელში ფეხის მოკიდება. უკვე ოთხი წელია, იქაური მოსავლით ვიკვებები. მთაში დასასვენებლად ჩემმა ვაჟმა ახალი პროექტი შეიმუშავა. ტურიზმში უნდა ფეხის მოკიდება. მე ჩემს სამკერვალო სალონში ვიზრუნებ ქართული ორნამენტებით გაწყობილი სამოსის შეკერვაზე, ასევე, მინდა ადგილობრივ მოსახლეობას დავეხმარო ნაქსოვ-ნაქარგების გამოფენა-გაყიდვაში.

- ხულოელ ახალგაზრდებთან ურთიერთობები სამსახურებრივად გევალებათ...

- ხულოს კულტურის ცენტრმა ჩამაბარა სხალთა-ხიხანისა და დაბა ხულოს ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახური. ძირითადად, საგანმანათლებლო ღონისძიებებით დავკავდები, მეტწილად - ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციებით. მინდა, ახალგაზრდებს მივცე სტიმული, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- ჩოხის კერვის საუკეთესო ოსტატი ხართ. თუ გაიხსენებთ იმ პიროვნებას, რომელმაც თქვენი შეკერილი ეროვნული სამოსი პირველმა მოირგო?

- ისიც პოეტია, თანაც დედაქალაქში მოღვაწეობს.

- ხიხაძირში ჩოხა-ახალუხისა და ყაბალახის სამკერვალო საწარმო გახსენით...

- ეროვნული სამოსი ადამიანის როგორც გარეგნულ, ასევე შინაგან მდგომარეობას გამოხატავს. მახარებს ბათუმის ქუჩებში ჩემი შეკერილი ჩოხებით შემოსილი ადამიანები რომ დადიან, საკუთარ თავსაც ალამაზებენ და გარემოსაც. მათ რიცხვს ხიხაძირელებიც შეემატებიან.

- ლექსისთვის როდის მოიცლით?

- 1981-86 წლებში ვმუშაობდი სამკერვალო სახელოსნოს გამგედ. ამირჩიეს ხულოს რაიონული საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად. გამოცდილებიდან გამომდინარე, მრავალი სიახლე მაქვს დაგეგმილი. ვიმედოვნებ, თანასოფლელებიც მხარში დამიდგებიან და მეც, ბუნების წიაღში, უფრო ბარაქიანად მოვუსვამ კალამს.

- „მთის კანონი“ რა ადგილს იჭერს პოეტი ქალის ცხოვრებაში?

- მან სულზე მომისწრო - სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსებით ვისარგებლე და მიწის დასამუშავებელი მოტობლოკი შევიძინე. ახლა სხვა პროგრამებში შვილთან ერთად ჩართვა მსურს.

- ახსენეთ, რომ თქვენს ლექსებზე სიმღერა დაიწერა...

- დიახ, სამ ლექსზე დაიწერა მუსიკა. „ხიხანის ციხე-ტაძაროს“ მუსიკა მანანა გაბაიძეს ეკუთვნის, სიმღერას კი მთისუბნელი ცირა თურაძე ასრულებს. მეორეა „გული მავალებს დამალეო“, მესამე - „დამესიზმრა“ ჩაწერის პროცესშია. მუსიკაზე მუშაობს კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი.

- ქალ-ვაჟი, შვილიშვილი რა ადგილს იჭერენ თქვენს ცხოვრებაში?

- შვილებზე არაფერს ვიტყვი, შვილიშვილი კი ახალი სიცოცხლის დასაწყისია. გამაახალგაზრდავა და სრულიად სხვა სამყაროში გადამიყვანა. ამოუხსნელი სიხარულია, რომელიც ყოველ დღეს მიფერადებს.

- ქალაქიდან სოფელში გადაბარგება, სოფლის საქმეებზე შეჭიდება სამეგობრომ როგორ მოგიწონათ?

- დიდად არავის გაჭკვირვება. უფლის ხმას მივყვები. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხანდახან მესახეთ-ჯავახეთიც მიხმობს. წმინდა ნინოს ნატერფალებს ვეძებ... მე მთა მეძახის. მთიელებს გვერდით დავუდგები. მეწარმეობა რომ გადავწყვიტე. ვიცოდი, არ გამიჭირდებოდა პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობის ერთმანეთთან შეხამება.

- რომანზეც მუშაობთ...

- ეს სიურპრიზი იქნება, ისევე, როგორც ბევრი სხვა სიახლე, მიზანი რომ უპოვია და მზის ამობრწყინებას ელოდება.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების ახალი სამოქმედო გეგმა მსოფლიოს ყველა წამყვანი ლიდერის მაგიდაზე იქნება. მისი თქმით, საერთაშორისო სანქციების ჯგუფმა, ანდრეი ერმაკისა და მაიკლ მაკფოლის ხელმძღვანელობით, წარადგინა დოკუმენტი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების შესახებ. ვოლოდიმირ ზელენსკიმ განმარტა, რომ სანქციების პირველი გეგმა 70%-ზე მეტით შესრულდა. „ახლა ჩვენ წარმოვადგინეთ ის სფეროები, რომლებშიც სანქციების ზეწოლა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს და გზები, რათა უზრუნველვყოთ მსოფლიოში უფრო მეტი სტაბილურობა, გლობალური ურთიერთობებიდან ყველა დესტრუქციული რუსი აქტორის, ყველა მათგანის, ვინც ომისთვის მუშაობს, სრული გამორიცხვით. სანქციების შესახებ ეს დოკუმენტი მსოფლიოს ყველა წამყვანი ლიდერის - პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ბიზნესლიდერის მაგიდაზე იქნება. სანქციები რუსეთის ნავთობისა და გაზის სექტორის წინააღმდეგ, ბირთვული ინდუსტრიის წინააღმდეგ, აბსოლუტურად ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ, ვინც რუსეთს უკვე დაწესებული შეზღუდვების გვერდის ავლაში ეხმარება. ეს არის საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის აუცილებელი თავდაცვა“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსული ძალები აქტიურ შეტევით ოპერაციებს სამი - ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკას მიმართულებებით ახორციელებენ. გენერალური შტაბის ცნობით, უკრაინის თავდაცვის ძალებმა ფრონტის ამ სექტორებში მტრის 39 შეტევა მოიგერიეს. გენშტაბში ასევე აცხადებენ, რომ ბახმუტისა და მარინკასთვის სასტიკი ბრძოლები გრძელდება. „ბახმუტის მიმართულებით მტერი აგრძელებს შეტევითი ოპერაციების ჩატარებას. გრძელდება მძიმე ბრძოლები ქალაქ ბახმუტისთვის. გარდა ამისა, დღის განმავლობაში მტერმა წარუმატებელი შეტევითი ოპერაციები განახორციელა ბოგდანოვკის, ხრომოვოსა და კლეშჩიევკის დასახლებების მიმართულებით“, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, ავდიივკის მიმართულებით, მოწინააღმდეგემ შეტევითი ოპერაციები განახორციელა დონეცკის ოლქის სევერნოეს და პერვომაისკოეს დასახლებებთან, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამასთან, რუსებმა კონტაქტის ხაზთან მდებარე რამდენიმე დასახლება დაბომბეს.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ქალაქ კუპიანსკის ცენტრს S-300 რაკეტით დაარტყეს, რომელიც ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობას მოხვდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ხარკოვის ოლქის ქალაქ კუპიანსკზე რუსების მიერ განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმას ეხმაურება და აცხადებს, რომ უკრაინა ტეროორისტულ ქვეყანას პასუხს გასცემს. „კუპიანსკი, ქალაქის ცენტრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი... ტეროორისტული ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მთლიანად გაგვანადგუროს, გაანადგუროს ჩვენი ისტორია, კულტურა, ჩვენი ხალხი, კლავს უკრაინელებს აბსოლუტურად ბარბაროსული მეთოდებით. არ გვაქვს უფლება, ეს ერთი წამითაც კი დავივიწყოთ. ჩვენ გვაქვს უფლება და ვუპასუხებთ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისივე თქმით, ცნობილია მუზეუმის დაღუპული თანამშრომლისა და ათი დაშავებულის შესახებ. ნანგრევების ქვეშ ჯერ კიდევ არიან ადამიანები. „დაბომბვის შედეგების ლიკვიდაცია გრძელდება. ჩართულია ყველა საჭირო სამსახური“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

დიდმა ბრიტანეთმა უკრაინას ათასობით სატანკო საბრძოლო მასალა გაუგზავნა, მათ შორის გაღარიბებული ურანით. ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯეიმს ჰიპი ავრცელებს. „უკრაინას Challenger-2 [ტანკებისთვის] საბრძოლო მასალის ათასობით ერთეული გავუგზავნეთ, მათ შორის ჯავშანგამტანი ჭურვები გაღარიბებული ურანით. ოპერატიული უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, უკრაინის მიერ მიწოდებული საბრძოლო მასალის ხარჯვაზე კომენტარს არ გავაკეთებთ“, - წერს ჯეიმს ჰიპი დეპუტატ კენი მაკასკილის წერილობითი მოთხოვნის პასუხად. ჰიპმ ასევე აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ უკრაინისთვის გადაცემული Challenger-2 ტანკები და საბრძოლო მასალა გაღარიბებული ურანით ახლა უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტროლშია და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო თვალს არ ადევნებს ადგილმდებარეობას, თუ საიდან ისვრიან უკრაინელი სამხედროები ჭურვებს გაღარიბებული ურანით უკრაინის ტერიტორიაზე. ცნობისთვის: საბრძოლო მასალა გაღარიბებული ურანით არ ითვლება ქიმიურ ან ბირთვულ იარაღად, შესაბამისად, მისი გამოყენება საერთაშორისო ნორმების მხრივ არ რეგულირდება.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ბათუმში საერთაშორისო საალდგომო ფესტივალი გაიხსნა

ალექსანდრე ხომერიკის ხსოვნის საღამო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრში ცნობილ ტენორ ალექსანდრე ხომერიკის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გალაკონცერტით მე-18 საერთაშორისო საალდგომო ფესტივალი გაიხსნა. მას ადრე „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ეწოდებოდა და სამი წელია, რაც სახელი გადაერქვა

მისი დამფუძნებელი და ორგანიზატორია მუსიკოსი, ჟურნალისტი, ხელოვნების მუშაკი მანანა ხვედელიძე. სწორედ მან გახსნა და მიჰყავდა საღამო-კონცერტი, რომელშიც, ადგილობრივი მომღერლების გარდა, თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სოლისტები მონაწილეობდნენ. ფესტივალის საპატიო სტუმარი გახლდათ ევროპაში მოღვაწე ჩვენი თანაქალაქელი, ტენორი ირაკლი კახიძე.

როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, აკადემიური მუსიკის ფესტივალი ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში იმართება. მან ისაუბრა ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავ ალექსანდრე ხომერიკის ღვაწლზე, რომლის წვლილი ძალიან დიდია საქართველოში საოპერო ხელოვნების განვითარებაში, ახალგაზრდა მომღერლების აღმოჩენასა და მათ ხელშეწყობაში. მისი მონდომებითა და ძალისხმევით გაიხსნა აჭარაში ოპერის თეატრი, სადაც მსოფლიო დონის სპექტაკლები იდგმებოდა. საღამომ ერთად შეკრიბა ქართული საოპერო ხელოვნების ვარსკვლავები და სრულიად ახალბედა შემსრულებლები, რათა პატივი მიგოთ ქართული საშემსრულებლო ხელოვნების გამოჩენილი ვარსკვლავისთვის, აჭარის საამაყო შვილის ალექსანდრე ხომერიკისთვის. იგი გამორჩეული იყო ქარიზმითა და სიყვარულის იშვიათი უნარით, რომელსაც უშურველად გასცემდა. იმ დღეს კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ადამიანის ხსოვნას, ვისაც ასე უყვარდა ბათუმი და ვინც ასე გულმხურვალედ უყვარდა ბათუმს. ასეთი საღამოები აუცილებელია, რათა მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს მისი დიდი ღვაწლი.

მანანა ხვედელიძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გვერდით დაუდგა ფესტივალს, მათ შორის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პირადად მინისტრ მაია ხაჯიშვილს, კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელ თამარ გუდავას, ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანს, მოადგილე სოფო ხალვაშს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრსა და მის ხელმძღვანელ გიორგი მიქელაძეს, მაესტრო დავით მუქერიას, ქორმაისტერ ლელა დოლიძეს...

თავის მხრივ, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილემ შემოქმედებით დარგში ქეთევან მანელიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ მანანა ხვედელიძეს ასეთი შესანიშნავი ფესტივალის დაფუძნებისა და ჩატარებისთვის, ასევე, ფესტივალის ადგილობრივ მხარდამჭერებს.

მომღერალმა აჩიკო გოგიტიძემ მადლიერებით გაიხსენა დიდი მაესტრო, აღნიშნა ის დიდი მეგობრობა და თანადგომა, რასაც მისგან გრძნობდა, წაიკითხა მარინა ჯახუტაშვილის (რომელიც ბათუმში არ იმყოფება) მიერ გამოგზავნილი წერილი.

კონცერტის დაწყებამდე შეკრებილებმა სპეციალურად ამ ფესტივალისთვის მომზადებული ვიდეოფილმი „ალექსანდრე ხომერიკი“ იხილეს, რომლის ავტორი მანანა ხვედელიძე გახლავთ. მასში გამორჩეული და წარმატებული ხელოვანის შემოქმედებაა წარმოჩენილი, ასევე, წარმოდგენილია ნოდარ ანდღულაძის, გიგა ლორთქიფანიძის, სხვათა შეფასებები - საინტერესოა კადრები, სადაც ალეკო ხომერიკი ზურაბ ანჯაფარიძესთან, ირაკლი კახიძესთან ერთად მღერის... ფილმში ნათქვამია, რომ ოპერის თეატრის დაარსებამ, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც გახლდათ ალეკო ხომერიკი, ბიძგი მისცა არა მხოლოდ აჭარის, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ღირსეული საოპერო ისტორიის დაუვიწყარი საშემსრულებლო და სარეპერტუარო შინაარსით შევსებას. ბათუმის ოპერის თეატრის საგულისხმო ისტორიამ მოგვიანებით ხელი შეუწყო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ბაზაზე წარმატებული საოპერო დასის დაარსებას ცნობილი მომღერლის მარინა ჯახუტაშვილის ხელმძღვანელობით.

დიდია ალექსანდრე ხომერიკის ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურისა და საოპერო ხელოვნების წინაშე. ის იყო საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის მფლობელი, შოთა რუსთაველისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი. ეროვნული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მას მიენიჭა ბრწყინვალების ორდენი - „ადამიანი ისტორია“, ხელოვნების ქურუმის წოდება, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წოდება „ამაგდარი“, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ჯილდო. ის ბათუმის საპატიო მოქალაქეა. საზაფხულო თეატრთან მისი სახელობითი ვარსკვლავია გახსნილი. გამოჩენილი სოპრანოს თამარ ივერის მიერ დაფუძნებულ საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს ხმა“ დაწესდა ალექსანდრე ხომერიკის სახელობის სპეციალური პრიზი.

სიტყვით გამოვიდა ალეკო ხომერიკის მეუღლე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პიანისტი, კონცერტმაისტერი მარინა დარჯანია-ხომერიკი:

- დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩემთვის, მძიმეც, რადგან ალეკოს გარეშე მიხდება აქ ყოფნა. მისი სიყმაწვილის ყველაზე თბილი მოგონებები სწორედ ძველ საზაფხულო თეატრს, ამ სცენას უკავშირდებოდა. 2019 წელს აუხდა ოცნება. აქ გაიხსნა ალეკოს ვარსკვლავი. ეს იყო მისი შემოქმედების, როგორც უდიდესი მომღერლის, ისე დიდი ორგანიზატორული ნიჭის დაფასება. ალეკო ბათუმში საოპერო თეატრის დამაარსებელია, დიდი ღვაწლი მიუძღვის აქ საოპერო ხელოვნების განვითარებასა და აღორძინებაში. მადლობა ფესტივალის ორგანიზატორს, ფილმის ავტორს, მუსიკოლოგ მანანა ხვედელიძეს პატივგების საღამოს ჩატარებისთვის, მადლობა მის სამეგობროს, ყველას, ვინც დღეს აქ მოვიდა, ვინც მხარი დაუჭირა ფესტივალს, ვინც მონაწილეობდა საღამოში, გამორჩეულად - ირაკლი კახიძეს, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა, - თქვა მან.

- როგორც ჩვენს ალეკოს შეეფერებოდა, ისეთი საღამო ჩატარდა. მაქსიმალურად შევეცადეთ, სათანადოდ მოვფერებოდით მის სულს. ალეკოს ჰქონდა საოცარი ენერგეტიკა, თვისებები, რაც თანდაყოლილია და ამის შეძენა უმაღლეს სასწავლებელში არ შეიძლება. სწორედ ასეთი მუხტი წამოვიდა ამ საოცარ საღამოზე, - გვითხრა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა დავით მუქერიამ.

- ჩატარდა არაჩვეულებრივი კონცერტი, რომელიც ალეკო ხომერიკისადმი იყო მიძღვნილი, მაგრამ მე პირიქით ვიტყოდი - ეს მან მოგვიძღვნა საღამო. ის მარგალიტები, რომელსაც დღეს მოვუსმინეთ, არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ალეკო ხომერიკი. სასიხარულოა, რომ მის გზას ღირსეულად აგრძელებენ. მადლობა ყველა მონაწილეს და ღონისძიების სულისჩამდგმელ მანანა ხვედელიძეს. ასეთ ღონისძიებას ჩვენგან ყოველთვის ექნება მხრადაჭერა. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი საღამოები, - აღნიშნა ბათუმის ვიცე-მერმა სოფო ხალვაშმა.

- ადრინდელ საზაფხულო თეატრს ალეკო ხომერიკი ახსოვს საესტრადო მომღერლის ამპლუაში, როცა ის აჭარის ფილარმონიასთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ადილას“ წევრი იყო და როგორც სოლისტი, ბრწყინვალედ მღეროდა. ეს მეც კარგად მახსოვს, რადგან ხშირად ვესწრებოდი მათ კონცერტს. მერე კლასიკურ მუსიკას დაეუფლა, ბრწყინვალე ტენორი გახდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარაში საოპერო თეატრისა და საოპერო დასის დაარსებაში, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- შეუძლებელი იყო, არ ჩამოვსულიყავი იმ ადამიანის საღამოზე, რომელმაც საოპერო ხელოვნება დააფუძნა აჭარაში დავით მუქერიასთან, მარინა ჯახუტაშვილთან, ზაზა ხამათაშვილთან, სხვებთან ერთად. ამ ხალხმა შემაყვარა ოპერის თეატრი. ალეკოს წვლილი უდიდესია საოპერო ხელოვნების განვითარებაში არა მარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოში. ბედნიერი ვარ, რომ მისი მოსწავლე ვიყავი. მისგან ძალიან ბევრი ადამიანური, ცხოვრებისეული რამ ვისწავლე. ჩემთვის დღევანდელი დღე განსაკუთრებულია და ვიცი, რომ ასეა თითოეული თქვენგანისთვის. ვეცდებით, რომ მისი, წლების წინ დაწყებული საქმე, ჩვენ გავაგრძელოთ მანამ, სანამ მომავალი თაობა გაარძელებს არსებულ ტრადიციებს. დღეს იმ ოპერის თეატრის ნარჩენები ბრწყინავს, რომელიც მან დააფუძნა და რომელიც აუცილებლად უნდა შეკრიბოს მომავალმა თაობამ, - თქვა ირაკლი კახიძემ

მომღერალი სულხან დევაძე მიესალმა ქალბატონ მარინა დარჯანია-ხომერიკს და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიუძღვნა სიმღერა ალეკოსა და მის სიყვარულს.

როგორც მანანა ხვედელიძემ გვითხრა, წელს ფესტივალი ბათუმით დაიწყეს. შემდეგი საღამო თბილისის კონსერვატორიაში ჩატარდება და ალექსი მაჭავარიანის 110 წლის იუბილეს მიეძღვნება, რომელზეც მისი ვაჟი - ვახტანგ მაჭავარიანი იდირიჟორებს, შემდეგ ფესტივალი ქუთაისში გადაინაცვლებს, სადაც ალეკო ხომერიკის საიუბილეო საღამო გაიმართება სულ სხვა შემადგენლობითა და შინაარსით... ფესტივალი დაიხურება 10 ივნისს თელავში, სადაც კამერული მუსიკის საღამო გაიმართება.

ფესტივალის გახსნაში მონაწილეობდნენ მომღერლები არჩილ გოგიტიძე, ნინო წულაია, ზაზა ხამათაშვილი, ეთერ ხალვაში, ირაკლი კორიფაძე, ლია ჯაში, ვალერი მჭედლიძე, თამარ ლებანიძე, ხათუნა ჭოხონელიძე, ზურაბ იაშვილი, ოთარ (ბაჩო) ნაკაშიძე, ნონა კორიფაძე, ანსამბლ „ბათუმის“ კვარტეტი (მამუკა სურმანიძე, იადონ მახარაძე, თემურ დოლიძე, ლევან ცხოიძე), სულხან დევაძე, მარიანა ბერიძე.

საღამო დაიხურა ვაჟა აზარაშვილის უკვდავი სიმღერით „საქართველო, გამარჯვება შენ“, რომელიც ირაკლი კახიძემ კაპელასთან (ქორმაისტერი - ლელა დოლიძე) და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი - დავით მუქერია) ბრწყინვალედ შეასრულა.

„შემოვალ ეტლით“ – ადამიანს თუ სჯერა, მთა დაემორჩილება

მე-4 გვერდიდან

- ეს თემაა, რომელზეც არ საუბრობენ ტიპური განვითარების მწერლები, რადგან კარგად უნდა იცოდე შშმ პირთა სამყარო და ეს ცოდნა ნაკლებად აქვთ. შშმ პირებს ვიცნობ, რომლებიც წერენ კარგად, მაგრამ ისინიც თავს იკავებენ. ჩემი შვილის სურვილი იყო, მთავარ პერსონაჟს ჰქონოდა სექსუალური ცხოვრება და ბევრი ვიმუშავე ამ ეპიზოდებზე. გავიარე კონსულტაციები შშმ პირთა ტრენერებთან, ექიმებთან, შშმ თემთან, ყველაზე მეტად ალბათ სწორედ ინტიმური სცენების დაწერისას ვღელავდი.

- რისი თქმა გინდოდათ ამ ნაწარმოებით, რომლის მთავარი გმირის ყოველი ნაბიჯი არის შეუპოვარი ბრძოლა სიცოცხლისთვის, სიყვარულისა და ბედნიერებისთვის და რომელიც, მიუხედავად დაბრკოლებებისა, ცდილობს, სრულად შეიგრძნოს ცხოვრება?

- ქალს მარტოც შეუძლია იყოს გამარჯვებული, სიყვარულია ყველაზე მთავარი დედამიწაზე, ბარიერები არაფერია, თუ გულის კარი გვექნება ღია ჩვენგან განსხვავებული ადამიანისთვის. ყველა ამ სამყაროში ფასობს თავისი განსხვავებულობით და არა ტიპურობით.

- რას ფიქრობთ, რაში დაეხმარა თქვენი წიგნი ადამიანებს და რა როლი აქვს წიგნს საკუთარი თავის თუ სამყაროს შეცნობაში?

- შშმ თემს ძალიან მოეწონა ეს რომანი. ამბობენ, რომ შშმ პირს სექსუალურობა მივეცი, ხშირად მწერენ მკითხველები, ეტლით მოსარგებლე ქალსა თუ მამაკაცში ისინი ხედავენ ელას და დათას. ვინც კითხულობს, თითქოს ჯდება ეტლში და ისე აღიქვამს სოციუმს, ამჩნევენ ყველა ბარიერს ირგვლივ. დიდი მწერლური ამბიციები არ მქონია, მაგრამ, ვფიქრობ, თუ ეს წიგნი დაანახებს მკითხველს ეტლით მოსარგებლე ადამიანთა სამყაროს, განცდებს, ვნებებს თუ შესაძლებლობებს, ძალიან კარგია.

- სიყვარულს ფიზიკური შეზღუდვები აქვს?

- სიყვარულს, თუ ის ნამდვილია, საზღვრები და შეზღუდვები ვერ ექნება.

- რას ფიქრობთ, ცხოვრებას მთავარი ბრძოლა მოუგეთ?

- ბრძოლა გრძელდება, სანამ ვსუნთქავთ. ახლა მახსენდება ედიტ პიაფის სიმღერა: „არა, მე არაფერს ვნანობ“. ამ მუსიკის განცდას შევადარებდი ამ წუთის განწყობას. 44 წლისა ვგრძნობ, გაიარა დედამიწაზე ყოფნის უმეტესმა ხანმა და მეღიმება ცოტა სევდით - რა სწრაფად გაუვლია ჩემი სიცოცხლის ტივს ცხოვრების მდინარეში.

- ცხოვრებას დაყოფდით...

- ავარიამდე და ავარიის შემდეგ. მაშინ ვერ ვხედავდი ცხოვრებას ისე, როგორც დღეს ვხედავ. როდესაც ვეღარ დავბრუნდი სახლში, სკოლაში, შვილთან... ამ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობდი. თავიდან ვისწავლე სუნთქვა, ფეხის ადგმა და მივხვდი, რომ წვრილმანია ყველაფერი, რაზეც ყოველდღიურად ვღელავთ. აპარატზე შეერთებულმა, თვალი რომ გავახილე და სინათლის სხივი დავინახე, მზე და სამყარო ვიგრძენი, ეს იყო მთავარი... უარყოფითის გარეშე დადებითს ვერ დააფასებ.

- დაბოლოს, როგორ დაასრულებთ წინადადებას: სიცოცხლე არის...

- ზღვა, რომელიც ზოგჯერ წმინდაა და ლურჯად მოციმციმე, ხან ტალღებს გახლის, ხან თბილად გეფერება, მოულოდნელად უფსკრულშიც მიგაქანებს, მაგრამ მაინც ლამაზი არის, „მაინც სიტურფით ჰყვავისა“.

განცხადებები

დადგენილება

საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/171, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე მოპასუხეს საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 24 აპრილი, 2023 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) თავმჯდომარე როსტომ გუნთაიშვილმა, მოდავე მხარეთა შორის 2022 წლის 06 ივლისის „სესხის ხელშეკრულება №HEAD.0011088.001“-ში (მუხლი 8.7.) საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/171, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე მოპასუხეთა საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩლე: შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“, ს.ნ. 445516102, დირექტორი მამუკა მიქელაძე, წარმომადგენელი: ადვოკატი, არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

საარბიტრაჟო მოპასუხე, მსესხებელი: შპს „ბათუმი 2019“, ს.კ. 445556158, დირექტორი, იგივე სოლიდარული თავდები ბესიკ დიასამიძე (პ/ნ 61001031474);

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დაკისრება.

გამოვარკვიე:

2022 წლის 30 ნოემბერს შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ ს.ნ. 445516102 დირექტორის მამუკა მიქელაძეს წარმომადგენელმა ადვოკატმა არჩილ ჯორთმენაძემ (პ/ნ 61006015254), შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხის: შპს „ბათუმი 2019"-ის, ს.კ. 445556158, დირექტორის, იგივე სოლიდარული თავდების ბესიკ დიასამიძის (პ/ნ 61001031474) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2022 წლის 30 ნოემბერს შპს **„აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“** არბიტრმა როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილები, იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა;

2. 2023 წლის 13 მარტს საარბიტრაჟო მოსარჩლის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ“,** რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ. არბიტრაჟის დადგენილება საჯაროდ გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ №28, 18-20 მარტი, 2023 წ. საარბიტრაჟო მოპასუხე სათანადო დოკუმენტების მიღებად არბიტრაჟში არ გამოცხადდა. არბიტრაჟისათვის უცნობია მოპასუხის არბიტრაჟში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი;

3. 2023 წლის 24 აპრილს, საარბიტრაჟო მოსარჩლის წარმომადგენელმა არჩილ ჯორთმენაძემ არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება საარბიტრაჟო საქმეზე №01-10/171, **„საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე მოპასუხეთა საჯაროდ მოწვევის შესახებ“,** რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით,**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/171, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე, შპს „ბათუმი 2019“-ის, ს.კ. 445556158, დირექტორი, იგივე სოლიდარული თავდები ბესიკ დიასამიძე (პ/ნ 61001031474), საჯაროდ მოწვეული იქნეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე არბიტრაჟში, საქმის არსებით განხილვის სხომაზე დასასწრებად, 2023 წლის 10 მაისს, 12:30 საათზე, ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული. საკ. ტელ: 577 78 19 77;

2. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩლე მხარის ხარჯით;

3. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან
არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი
როსტომ გუნთაიშვილი

შპს „აჭარის ტსმც“ აცხადებს

აუქციონს

შემდეგი არასაცხოვრებელი ფართის 2 წლის ვადით იჯარით გასაცემად

ცხრილი №1

ლოტი	იჯარით გასაცემი ფართის დასახელება	გასაცემი ფართი (კვმ)	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბიჯი“ (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბილეთის ფასი (ლარი)		ბილეთის ფასი (ლარი)	მისამართი (ადგილმდებარეობა)
						ფიზიკ. პირი		იურიდ. პირი	
1	არასაცხოვრებელი ფართი, ნახევრად კაპიტალური ორსართულიანი შენობის 1-ლი სათული, ოთახი (სათავსო) № 3, 4	58	3840	360	350	10		50	ბათუმი, იმედაშვილის ქუჩა №8, 1 სართული, ოთახი (სათავსო) №3, 4

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარმოუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე“-ს შენატანისა და აუქციონის მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებულ ასლს.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

შპს „აჭარის ტსმც“ (ს/კ 245425366), ანგარიშის №GE38LB011312701364300, მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკის“ ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22.

აუქციონზე გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი ფასისა ბიჯის გათვალისწინებით).

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 2023 წლის 29 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით, დილის 10 საათიდან 16:30 საათამდე შპს „აჭარის ტსმც“-ს შენობაში, ბათუმი, იმედაშვილის ქუჩა №8.

აუქციონი ჩატარდება ამავე შენობაში 2023 წლის 16 მაისს, 17:00 საათზე.

მობ: 593 360 988.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/04/23, 20 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმის ინკლუზიურ დასში არის მთავარი - სიყვარული

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმელი ახალგაზრდა ***ნატალია გალოგრე.*** *როგორც გვითხრა, თბილისში სამი სასწავლებელი, მათ შორის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. დრამის ფაკულტეტზე ანდრო ენუქიძის ჯგუფში სწავლობდა და პროფესიით დრამისა და კინოს მსახიობია. სამომავლოდ, მაგისტრატურაში სწავლას რეჟისურის განხრით აპირებს. ნატალია ახლა ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის ხელმძღვანელი და რეჟისორია. ეს სიცოცხლითა და იუმორით აღსავსე გოგონა ინკლუზიური დასის ისტორიაზე გვესაუბრება.*

- ნატალია, როდის და საიდან გაჩნდა ინკლუზიური დასის შექმნის იდეა?

- 2019 წელს, მაშინ, როცა ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის პროგრამული ხარჯით გათვალისწინებული სპექტაკლის დადგმა შემომთავაზეს. დავფიქრდი, რა სირთულეებთან მომიწევდა შეჭიდება. პირველ რიგში, ეს იქნებოდა სრულიად ახალი გარემო, სადაც მარტოს მომიწევდა

მემუშავა ინტეგრირებულ სპექტაკლზე, რომლის მონაწილეებიც იქნებოდნენ შშმ პირები და ტიპური განვითარების ახალგაზრდები. სიახლის არ მეშინია და ამიტომ დავთანხმდი, ძალიან მაინტერესებდა, რეალურად რა შესაძლებლობები მქონდა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისეთი მოტივირებული, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდები შეიკრიბნენ, რომ არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, თანაც სიამაყით - აქ გაჩერება და ამ წამოწყების მიტოვება უკვე სამშობლოს ღალატის ტოლფასია. გარდა მეგობრული გარემოსა და უანგაროდ გაცემული სითბოსი, ბათუმის ინკლუზიურ დასში არის მთავარი - სიყვარული. სწორედ ამიტომ, აღარ გავჩერდით არც მე და შესაბამისად, არც დასის წევრები. ჩვენი მთავარი დევიზია, - ნაბიჯი წინ. სულ წინ უნდა ვიაროთ, მიუხედავად ყველაფრისა. 3 სასწავლებელი მაქვს „მოვლილი“, ერთ-ერთში, საბანკო აღრიცხვები და ბუღალტერია შევისწავლე. დასის შესაქმნელად ისეთი რთული და დამღლელი ბიუროკრატიული პროცესები გავიარე, ცოტათი დავიღალე, მაგრამ არ დავნებდი, ბოლომდე ვიბრძოლე, ტენდერიც კი მოვიგე (დღემდე არ მეჯერა). როცა ამ ბიუროკრატიულ საკითხებს მოვრჩი, გამოცხადდა ქასთინგი და აი, იქ დაიწყო, რაც დაიწყო. ველოდებოდი, მაგრამ ამდენს ნამდვილად არა. ანკეტა ანკეტაზე ივსებოდა და იმდენი მსურველი გამოჩნდა, ცოტა არ იყოს, ავნერვიულდი, არ ვიცოდი, ამდენს თუ გავუმკლავდებოდი. ესეც შევძელი და მიხარია.

- რამდენი მსახიობი გყავთ და რა ასაკის?

- დასში ახლა 35 ახალგაზრდაა, რომელთა ასაკი 7-დან 30 წლამდეა, ყველა ძალიან განსხვავებული და ამასთან, ყველა ერთნაირად მოტივირებული. სწორედ ამაშია დასის ხიბლი. ჩვენ არ ვეჯიბრებით სხვას, მხოლოდ საკუთარ თავს ვეჯიბრებით, რომ ყოველ ჯერზე გავიმარჯვოთ ახალ გამომწვევებზე და ვიყოთ უზომოდ ბედნიერები საკუთარი მიღწევებით.

- რომელი სპექტაკლები დადგით და რა კრიტერიუმით შეარჩიეთ პიესები?

- პირველი სპექტაკლი იყო „ჰელადოსი“ - გაცნობა-დამეგობრების, შემდეგ დავიწყეთ ახალი სპექტაკლი, სრულიად ფორსმაჟორულ სიტუაციაში. სულ რაღაც 4 დღეში, მაყურებელს ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, „ლაივსტრიმის“ საშუალებით ვაჩვენეთ სპექტაკლი „თმენა“. მესამე სპექტაკლი იყო „მუსიკის ჰანგები“. ასევე, გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი ჩვენ შესახებ, სახელწოდებით „Step Up“. ფილმი მონტაჟდება და ძალიან მალე მაყურებელს სოციალური ქსელებით ვაჩვენებთ, იქნება დახურული ჩვენებაც.

- რამდენად მოერგნენ როლებს ახალგაზრდები?

- არ დამეზარება გავიმეორო, რომ სასწაული ახალგაზრდები არიან. ისე თავდაუზოგავად მუშაობენ როლზე, ისეთი დაკვირვებული და ორგანულები არიან, რომ გადავწყვიტე, მათთვის ხელი შემეწყო. ჩაუტარდათ მასტერკლასები დრამისა და კინოს მსახიობის, დრამის რეჟისურის და დოკუმენტური კინოს მიმართულებებით. მოწვეული გვყავდა ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან დრამის რეჟისორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თეატრალური მიმართულებით ვანო ხუციშვილი, დრამისა და კინოს მსახიობი ნინო მუმლაძე, კინოდოკუმენტალისტი თომა ჩაგელიშვილი. არაჩვეულებრივი მასტერკლასები ჩატარდა, რაც პირდაპირ აისახა ახალგაზრდების მოტივაციასა და შედეგზე.

- მოლოდინმა გაამართლა?

- გადააჭარბა კიდეც. რადიკალურად შეიცვალა და გადაფასდა ჩემთვის ღირებულებები, შეფასების კრიტერიუმი, მოკლედ, ყველაფერი.

- რამდენად რთულია გამორჩეული მიდგომით მუშაობა?

- საერთოდ არ არის რთული. იქ, სადაც სიყვარული, დაუღალავი შრომა და ურთიერთგაგებაა, რთული არაფერია.

- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

- ერთ დღესაც გავიღვიძო იმ რეალობაში, რასაც თვალდახუჭული ვხედავ, ჩვენი ბრძოლის შედეგი, რომ ყველა თანასწორნი ვართ, რომ არ არსებობს შეზღუდული გარემო და რომ ყველას, ყველას გვაქვს უფლება და შესაძლებლობა, ვემსახუროთ კულტურას. ჰოროსკოპით თხის რქა ვარ და ჯიუტად მჯერა, რომ დავამსხვრევთ სტერეოტიპებს და

თვალგახელილი ისეთ რეალობას დავინახავ, რომ დიდხანს ვიქნები თვალებდაჭყეტილი.

- რა ადგილი უჭირავს თეატრს თქვენს ცხოვრებაში?

- ეს მას ჰკითხეთ (იცინის). ხანდახან მგონია, რომ პიროვნებაა თეატრი და თვითონ მმართავს, მუდმივად ახლის ძიებაში ვყავარ, ყოველდღიურ აღმოჩენებში და ხილულ სასწაულებში. მიყვარს. უანგაროდ, სანამ შევძლებ, პირობას ვდებ, რომ ვემსახურები. ეს ყველაზე სასიამოვნო მორჩილებაა.

- რა ემოცია გეუფლებათ, როცა სპექტაკლის შემდეგ თქვენს ნამუშევარს ხალხი მქუხარე აპლოდისმენტით ხვდება?

- ამბობენ, შვილი ყველაზე დიდი ბედნიერებაა. მე ჯერ ბიოლოგიურად შვილი არ გამიჩენია, მაგრამ დაახლოებით ვხვდები, რა გრძნობა იქნება, როცა შენს პირმშოს დაინახავ. შვილს ჰგავს, რომელიც ბევრს მოსწონს, ბევრს უყვარს, ბევრი შენიშვნას აძლევს, რომ უკეთესი იყოს. მერე შენც მასთან ერთად იზრდები... ამდენი რომ არ მელაპარაკა და ბედნიერებაა-მეთქი, რომ მეთქვა, იმასაც ხომ დამიჯერებდით? ოღონდ - ყველაზე ხანგრძლივი ბედნიერება.

- მსახიობის ამპლუაში უფრო რთულია ყოფნა თუ რეჟისორის?

- თანაბრად რთულია, რადგან ორივე ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. სირთულე ოქროს შუალედის პოვნაა. შენსა და მაყურებელს შორის უხილავი ფარდა უნდა ჩამოაფარო, რომლის მიღმაც ყველაფერი უნდა ჩანდეს, ოღონდ ისე, რომ მომხიბვლელი იდუმალება არ დაიკარგოს. ორივე შემთხვევაში მთავარია იცოდე, რისი თქმა გინდა ამ ფარდის მიღმა. ხან გაგიგებენ და მიიღებენ შენს სათქმელს, ხან ვერა. სიახლის არ მეშინია, ამიტომ ბევრი რამის სწავლას და კეთებას ვაპირებ.

- თქვენი აზრით, რა პრობლემის წინაშე დგას დღეს ხელოვნების სფერო?

- დოგმები და სტერეოტიპები! პრობლემას, რომელიც ადამიანური რესურსით და ფულით შეიძლება მოგვარდეს, პრობლემა არ ჰქვია. საკმაოდ კარგი დაფინანსებაა თეატრში, ოღონდ თანხა სწორად უნდა გადანაწილდეს, მიზნობრივად, წინსვლისთვის და პროგრესისთვის. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, „მივცეთ ნიჭსა გზა ფართო“, გავთავისუფლდეთ სტერეოტიპებისაგან, დავუთმოთ ასპარეზი ახალგაზრდებს, ახალ რეფორმებს, ახალ იდეებს და თეატრიც აშენდება და ქვეყანაც.

- გასტროლზეც რომ გვიამბოთ...

- ამდენი რომ ვიშრომეთ, მოდი, გასტროლიც ვცადოთ-მეთქი და... ესეც გამოვიდა. გავაგზავნეთ აპლიკაცია თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე და... მიგვიწვიეს. აი, იქ ვიყავი უბედნიერესი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორ გზას ვადგავართ. ერთადერთი დასი ვიყავით ინკლუზიური. მაყურებლის უმაღლესი შეფასება მივიღეთ. ორგანიზატორები დღემდე აქტიურად გვეკონტაქტებიან და აინტერესებთ, როგორ მიდის ჩვენი საქმე. ინკლუზიის საკითხი ყველა ქვეყნის პრიორიტეტულ საკითხებშია, ვისურვებდი, ჩვენს ქვეყანაშიც ასე იყოს.

- სახალისო ისტორიაც გექნებათ...

- კი. რეისზე დავაგვიანეთ. განა ვერ მივუსწარით, განა საცობი იყო? არა! ბედნიერები ვისხედით ანკარის საერთაშორისო აეროპორტში, ვწერდით ჩვენი დასის წევრისთვის დაბადების დღის მისალოც ვიდეოს და ამ დროს ჩვენი თვითმფრინავი ჩვენს ზურგს უკან აფრინდა... სამაგიეროდ, კარგი ვიდეო გამოგვივიდა, დღემდე გვახსოვს.

- რა გეგმები გაქვთ?

- თეატრი იმდენად ცოცხალი ორგანიზმია, ძნელია, ზედმიწევნით დაგეგმო რამე. აქ სითამამე და სიახლე თითქმის ყოველთვის გამართლებულია. ამიტომ ჩვენი ძირითადი გეგმა სიახლეებია, რაც მთავარია, არ ვჩერდებით. მალე ახალ სპექტაკლს შევთავაზებთ მაყურებელს. ასევე, გეგმის ნაწილია მოკლემეტრაჟიანი მულტფილმის გადაღება. მოკლედ რომ გითხრათ - ჩვენ სულ წინ ვდგამთ ნაბიჯს.